პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 13 იანვარი 1926 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

7 (1002)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გავაძლიეროთ სამხედრო და პოლიტიკური სწავლება.

უკვე ორ თვეზე მეტია რაც წითელ ჯარში მოვიდა ახალი შევსება.

ამ ხნის განმავლობაში ახალმოსულები საკმაოდ გაეცნენ წითელ ყაზარმას, მის ყოფა-ცხოვრებას და მუშაობას. 1903 წელში დაბადებულ წითელ მებრძოლებმა ასე ვსთქვათ გაიარეს სწავლების პირველი საფეხური. მათ იციან რას მოითხოვს წითელი არმია თითეულ წითელ არმიელისგან, რა როლს თამაშობს წითელი ჯარი და რა ამოცანები უძევს მას წინ. 1903 წლიანებს აგრეთვე შეგნებული აქვთ დისციპლინისა და სამხედრო საქმეში კარგად დახელოვნების აუცილებლობა.

ყოველივე ეს სრულ ნებას გვაძლევს ამიერიდან მათ მოვხსნათ სახელწოდება—ახალწვეულები.

ისინი უკვე ნამდვილი წითელ არმიელები არიან.

ამას მოწმობს ის აუარება კორესპონდენციები ნაწილებიდან, რომლებიც მოგვითხრობენ ჩვენ, თუ როგორი ხალისით ჩაება სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებაში ახალგაზრდა წითელ არმიელი, თუ როგორი ინტერესით ის ითვისებს ყველაფერს სხვა და სხვა წრეებსა და ლენკუთხეში, რომელთა მუშაობაში ის აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ამრიგად 1903 წლის გაწვევის წითელ არმიელები იწყებენ სწავლების მეორე საფეხურზე გადასვლას. ეს ნიშნავს მას, რომ მათი სამხედრო და პოლიტიკური სწავლება ღრმავდება, მათი პასუხისმგებლობა იზრდება, მათ მეტი მოეთხოვებათ დისციპლინისა და სამხედრო მეცადინეობის დარგში.

გასკეცებული ენერგიით და ძალით ჩვენი წითელ არმიელები უნდა შეუდგნენ სამხედრო სწავლებას და თავის ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებას.

არავითარ გულგრილობას, სიზარმაცეს, დაუდევრობას, სიმულიაციას, უდისციპლინობას და სხვა ამგვარს ადგილი არ უნდა ქონდეს მათ შორის.

თითეულ ჩამორჩენილ ამხანაგს დანარჩენებმა უნდა დაეხმარონ და გამოასწორონ ის.

ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა არც ისე დიდია, ხოლო სამუშაო კი ბევრი არის. წითელ ყაზარმაში ყოფნის მთელ განმავლობაში ყოველი წითელი მებრძოლი უნდა შეიქმნეს საუკეთესოთ მომზადებული და კარგად გაწვრთნილი მეომარი.

აი მთავარი და ძირითადი ამოცანა, რომელიც მან პირნათლად უნდა შეასრულოს.

ამას კა წითელ არმიელი მიაღწევს გამაძლიერებული სამხედრო-პოლიტიკური სწავლებით და თავდადებული მუშაობით წითელი ჯარის განმტკიცების საქმეში.

გავაძლიეროთ სწავლება! მეტის გულმოდგინეობით მოვკიდოთ ხელი მას!

## წრეების ხელმძღვანელთა მომზადება.

თუ გვინდა, რომ ესა თუ ის წრე იდგეს თავის სიმაღლეზე, მოუტანოს წითელ არმიელებს სარგებლობა და შესძინოს მათ ცოდნა, ამისათვის უნდა ვეცადოთ, რომ სათავეში, ხელმძღვანელად ჩაუყენოთ სათანადოთ მომზადებული პირი.

წრის ხელმძღვანელის დანიშვნის დროს ჩვენ ნაწილში არ აქცევენ მაინც და მაინც დიდ ყურადღებას იმ გარემოებას, შეეფერება თუ არა იგი თავის დანიშნულებას, შეუძლიან თუ არა გაუწიოს წრეს სათანადო ხელმძღვანელობა და სხ. ამის გამო შემდეგში ჩვენ ვღებულობთ უარყოფით შედეგებს. წრე მალე კვდება, წითელ არმიელთ ეკარგებათ ხალისი წრეში ჩაწერის, მუშაობის და სხ.

ამიტომ, სანამ დავნიშნავდეთ წრეების ხელმძღვანელებს საჭირო ჩატარებულ იქნას მოკლე ვადიანი (6—7 დღე) სემინარები წრეების ხელმძღვანელთათვის.

უპირველეს ყოვლისა ყოველ წრის ხელმძღვანელს უნდა კარგათ შევაგნებინოთ სკოლის გარეშე მუშაობის მიზანი და ამოცანები და ამ მუშაობის მნიშვნელობა წითელ არმიელთა მომზადების საერთო სისტემაში. თუ ამაზე არ ექნება ნათელი წარმოდგენა წრის ხელმძღვანელს, იგი არ გამოდგება სამუშაოდ.

მუშაობის ამ დარგის გამოსწორება უნდა იკისროს თვით ნაწილის კლუბის უფროსმა. სემინარზე უნდა განხილულ იქნეს დაწყებითი, საწრეო და მასიურ მუშაობის ფორმები და მეთოდები, წრეების ჩამოყალიბება მათი სტრუქტურა (ხელმძღვანელი, მოადგილე პრეზიდიუმი); შემდეგ საჭიროა გაცნობა მეთოდების: ლაბორატორიული, შრომითი, საექსკურსიო და სხვა. წრის ხელმძღვანელის არჩევის დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ წრეში წითელარმიელი ემზადება მომავალ ცხოვრებისათვის, იგი იძენს ამ ცხოვრებისათვის გამოსადეგ ცნობებს, აქ მუშავდება მისი მსოფლ-მხედველობა.

ყველა ეს გვავალებს ჩვენ მოვეკიდოთ საწრეო მუშაობას უდიდესი დაკვირვებით და სიფრთხილით. დრო გამოშვებით, სისტემატიურად კლუბის გამგეობის სხდომებზე უნდა ისმენდეს წრეების ხელმძღვანელთა მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ. ყოველ ხელმძღვანელს უნდა მოეთხოვოს არა მარტო მუშაობის ანგარიში, არამედ ისიც, თუ როგორ ატარებს მუშაობას, რამდენათ ნაყოფიერია მუშაობა, რამდენათ იგი აღწევს მიზანს. ანგარიშის ჩაბარება ხელმძღვანელის მიერ კლუბის გამგეობისადმი საჭიროა იმისთვის, რომ ყოველი ხელმძღვანელი ჰგრძნობდეს იმ საქმის სრულ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აქვს დაკისრებული.

ი. ხუციშვილი.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის ყოფილ მფლობელთა ქონების ჩამორთმევის შესახებ

ადამიანის უფლებათა დამცველ ლიგის საერთო კრებამ გერმანიაში დაადგინა მხარი დაუჭიროს გერმანიის ხალხს, რომელიც მოითხოვს ჩამოერთვას ყოფილ მფლობელებს (ყოფილ მეფესა და მის გვარეულობას) ქონება აუნაზღაურებლად.

გერმანიაში იმართება მრავალი დემონსტრაციები, რომლებზედაც მოითხოვენ ქონების ჩამორთმევას აუნაზღაურებლად.

ეს მოთხოვნილება პირველად წამოაყენა კომუნისტურმა პარტიამ. სოციალ-დემოკრატია პირველ ხანებში არ უჭერდა მხარს ამ მოთხოვნილებებს; ბოლოს სოციალ-დემოკრატები მიემხრენ ამ აზრს, მაგრამ შეაქვთ წინადადებაში შესწორება, რომ იმ პირთ, რომლებსაც არ აქვთ საზღვარ გარეთ რაიმე პირადი ქონება დაენიშნოს სიკვდილამდის პროცენტებით.

ბავარიის გლეხთა კავშირი მოითხოვს რათა „ჩამორთმეულ იქნას მუქთახორების მიერ ნაპარავი და წანაძლევი ქონება“.

## პოლონეთის სეიმის დეპუტატები საბჭოთა კავშირში

პოლონეთის სეიმის დეპუტატებმა ინახულეს რსფსრ-ს მიწადმოქმედების კომისრის მოადგილე სვიდერსკი.

დეპუტატებს მეტათ აინტერესებდათ საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის საკითხები.

## „მშვიდობიანობის მაძიებელნი“ ვერ შეთანხმდენ

როგორც ვიცით, ერთა ლიგას განზრახული აქვს მოიწვიოს წინასწარი ყრილობა, რომელზედაც უნდა გაირჩეს განიარაღების საკითხები. როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, სახელმწიფოების წარმომადგენლები ვერ შეთანხმდენ საკითხების ფარგლების განსაზღვრაში. მოსალოდნელია კონფერენციის გახსნის გადადება.

## წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

პოლიტგანათლების განყოფილებამ თელავის მაზრაში დღემდის გახსნა 130 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. სკოლებში სწავლობს 3.928 კაცი, ამათ შორის 15 პროც. მოჯამაგირეები შეადგენს.

## ამხ. რაკოვსკი ჩვენი ურთიერთობის შესახებ სხვა ქვეყნებთან

### გარეშე სახელმწიფოებთან დამოკიდებულება უმჯობესდება.



ამხ. რაკოვსკი

ლენინგრადში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. რაკოვსკი, რომელმაც მოხსენება გააკეთა ჩვენს ურთიერთობის შესახებ ინგლისს, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებთან.

ამხ. რაკოვსკიმ ვრცლად ილაპარაკა ინგლისთან დამოკიდებულების შესახებ და აღნიშნა, რომ ინგლისთან შეთანხმების საქმე ძნელი გამოდგა.

„მთელი ჩემი ცდები—განაცხადა მან—გამომეკვლია, თუ მოლაპარაკების რომელი მუხლია მიუღებელი დღევანდელ მთავრობისთვის, ამაო გამოდგა. იყო წუთები, როცა ჩვენ ვფიქრობდით ჩაიშლება მოლაპარაკებაო“.

ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ რაკოვსკიმ განაცხადა:

„ხელშეკრულებაში არაა საბჭოთა საწინააღმდეგო კავშირი, მაგრამ მასში არის ჩანასახი. ინგლისმა ამ მხრივ გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნებზე. ჩვენ ამას ერთი წლის ადრე ვგრძნობდით და ამიტომ იყო რომ გამწვავებული მდგომარეობა იყო ჩვენს დამოკიდებულებაში ევროპის ქვეყნებთან“.

რაკოვსკის აზრით 1926 წელში უფრო კარგი ნიადაგია იმისთვის, რომ მოვაგვაროთ მთელ რიგ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობა.

## პარტიის მთლიანობისათვის

### მოსკოვის სამხედრო უჯრედების მესამე კონფერენცია.

გაიხსნა საკავშირო კომპარტიის მოსკოვის გარნიზონის სამხედრო უჯრედების მესამე კონფერენცია. კონფერენციამ პატივი სცა ფრუნზეს ხსოვნას სამგლოვიარო მარშითა და ფეხზე ადგომით.

კონფერენცია მხარს უჭერს მოსკოვის ორგანიზაციის პარტაქტივს საკითხში მე-XIV ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ და ესალმება ფოლადისებურ მთლიანობას პარტიის რიგებში.

კონფერენციამ გაუგზავნა სალამი საკავშირო კომპარტიის ცეკას, მოსკოვის კომიტეტსა და გაზ. „პრავდას“.

ხუთშაბათს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საბჭოს ყველა სექციების ბიუროების გაერთიანებული

**სხდომა**

დღის წესრიგი:

1. საბინაო საკითხი,
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ბიუროების წევრებისათვის სავალდებულოა.

აღნიშნულ სხდომას შეუძლია დაესწრონ საბჭოს წევრებიც.

პრეზიდიუმი.

# საბჭოთა აღმშენებლობა ჩვენში

## აგარაკ ბახმაროზე.

წარსულ ზაფხულზე აგარაკ ბახმაროზე გაცხოველებული სააღმშენებლო მუშაობა სწარმოებდა. მდიდარ ხე-ტყის მასალამ, რომელიც ადგილობრივად მოიპოვება, ახლო მდებარე სოფლებში მყოფ სამუშაო ძალის საკმაო რაოდენობამ, მთავრობის განკარგულებამ, რომელმაც შეამსუბუქა სააღმშენებლო მასალების გამოზიდვის საქმე ტყეებიდან, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა,—ყოველივე ამან მეტად გააცხოველა და წინ წასწია მთელი კურორტის აღმშენებლობის საქმე. ზაფხულის განმავლობაში აგებულ იქნა შემდეგი საზოგადო შენობები: განათლების მუშაკთა სამაზრო კავშირის სახლი—18 ოთახი; 18 ოთახი, რომელიც ააგო კერძო ამხანაგობამ; და მოსამსახურეთა დასასვენებელი სახლი—20 ოთახი. გარდა ამისა აგებულია კერძო მეპატრონეთა მიერ 60 მეტი სახლი. საკურორტო გამგეობამ ფილტვებით ავადმყოფთათვის ცენტრზე მოშორებით გამოჰყო 50 უბანი საეზოვე მიწისა სახლების ასაგებად და 130 უბანი კერძო სარგებლობისთვის. ამ უბნებში უკვე დაიწყო სახლების აგება და სეზონის დასაწყისისთვის ეს მუშაობა დამთავრდება. ქუჩები უკვე აგებულია. შენობები ჩვეულებრივია, გლეხური. სახლები ყავრითაა დახურული; სხვანაირი სახურავი მასალა აქ უსარგებლო იქნება ძლიერი ქარებისა და დიდი თოვლის გამო, რომელიც ბახმაროს მთებზე 10 მეტრი და ხშირად მეტის სიმაღლით მოდის. მეტად საგრძნობია ფანჯრის შუშისა და დუღაბის ნაკლებობა.

## გურიის სოფლებში.

უკანასკნელ თვეებში გურიის სოფლებში ძალიან გაიზარდა აღმშენებლობა, რაც ომამდე არსებულ დონეს აშორდა. მარტო ბახვისა და ოზურგეთის თემებში ახლად აგებულ იქნა 240 სახლზე მეტი; მინაშენი და დამატებითი ოთახები უდრის 900-ზე მეტს.

შენდება აგრეთვე სხვა და სხვა თემებში სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვა საზოგადოებრივი შენობები.

## აჭარისტანში

### ქარიშხლის მოლოდინში.

ბათუმის სანაპიროში მოელიან ზღვის ღელვასა და ძლიერ ქარს. ღელვის მოლოდინში გემები აღარ გადიან ნავთსადგურიდან.

### წყალსადენი სოფლად.

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის განყოფილებამ სოფელ ახალშენში გაიყვანა წყალსადენი 12 ვერსის მანძილზე.

### აჭარისტანის ხილეული.

აჭარისტანის წარმოკავშირმა კვლავ გააგზავნა მოსკოვსა და ოდესაში 15.000 ფუთი ვაშლი, სამი ვაგონი ფორთოხალი და 1 ვაგონი ნარინჯი.

აჭარისტანის ცეკავშირი ხსნის მოსკოვსა და ბათომში აჭარისტანის ხილეულის სავაჭრო განყოფილებებს.

### საქონლის გატანა.

ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობამ გააგზავნა მარსელში 6.000 ფუთი პარკი. გემი „ჯომანდით" გატანილ იქნა საზღვარგარედ 4.500 ტონა ნავთი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ცხენ. ლეგ. პარტსკოლები.

მთლიანი პარტსკოლების მეცადინეობა ლეგიონში სწარმოებს ერთხელ კვირაში. მეცადინეობა სხვა და სხვა პროგრამით მიმდინარეობს პარტწრებსა და კანდიდატებთან უკვე ცალკე სწარმოებს მუშაობა კომკავშირის წევრებთან. უმთავრესი ყურადღება ექცევა მუშათა მოძრაობის, პარტისტორიისა და სხვა წესდებებისა და ყრილობების დადგენილებათა შესწავლას. ხელმძღვანელები საკმაოდ მომზადებული და ენერგიული ამხანაგები არიან.

მეცადინეობისადმი დამოკიდებულება ძლიერ ენერგიული და მონდომებულია. ყველა სისტემატიურ დ ესწრებიან საუბრებს და ჯერ არ ყოფილა უმიზეზოთ დაკლების შემთხვევა. პარტიის ფოლადისებური დისციპლინა აქაც მტკიცეთ არის დაცული.

სამხკორი პ. კახიძე

## 1-ლი არტლეგ. 4-ხე საგაუბიცო ბატარეია.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა 1-ლი საარტილერიო ლეგიონის 4 ხე საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედის ღია კრება. მოსმენილი იქნა კომუჯრედის მდივნის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ. ამხანაგმა უჯრედის მუშაობაში მიღებულ მიღწევებთან ერთად აღნიშნა ყველა ნაკლოვანებანიც. საერთოდ გამოირკვა, რომ მუშაობა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უმნიშვნელო ნაკლოვანებებს, დამაკმაყოფილებელი იყო და ბევრი საყურადღებო მიღწევებიც იქნა მიღებული.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს. კრებამ მიიღო რა მხედველობაში, პოლიტხელისა და უჯრედის მდივნის თანამდებობათა შეთანხმების სიძნელე, აირჩია ახალი პასუხისმგებელი მდივანი.

წ. არმ. ბარათაშვილი.

## მე-3 ლეგიონის ჯგუფი.

გასულ კვირას მოხდა ჩვენი ჯგუფის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. ორგანიზატორი თავისი მუშაობის შესახებ. ამხანაგის საანგარიშო მოხსენების შემდეგ გამოირკვა, რომ 4-ხი თვის განმავლობაში, მუშაობას არ გადაუხვევია ნორმალური კალაპოტიდან. მთელი მუშაობის განმავლობაში დაცული იყო სრულიად ჯგუფის იდეური და ორგანიზაციული საჭიროებისათვის ყველა აუცილებელი მოთხოვნილება. ამასთანავე მჭიდრო კავშირი ყოფილა დამყარებული სამოქალაქო და სოფლის უჯრედებთან.

კრებამ მუშაობა მოიწონა და ერთხმად დაადგინა დატოვებული იქნეს თავის პოსტზე იგივე ძველი ორგანიზატორი, რომელსაც მადლობა გამოეცხადა ასეთი ენერგიული საქმიანობისათვის.

სამხკორი ა. დარახველიძე.

## უცხო სიტყვების ახსნა.

**პრობლემა**—საკითხი, ამოცანა.

**სეიმი**—პოლონეთისა და სხვა ზოგიერთ სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება, რომელიც შესდგება მინ. სტრებისაგან

**ნორმალური**—ბუნებრივი, სწორი, წესიერი, მართებული.

**მიკროსკოპი**—ხელსაწყო, რომლის საშუალებით შეიძლება უმნიშვნელო ნაწილაკების დანახვა ბუნებაში.

# სამხედრო საქმე.

## შეისწავლე მარჯვე სროლა

### სროლის გაცდენა მიზნის მოძრაობის გამო.

ბრძოლაში მეომარს მოუხდება სროლა ხილულ და უხილავ მტერზე (უკანასკნელ შემთხვევაში ტყვიამფრქვევით). ამასთან მოპირდაპირე შეიძლება იყოს მდგომარე, მჯდომარე ან მწოლარე; შეიძლება იყვეს ერთს ადგილას, მოძრაობდეს ნაბიჯით, სირბილით, ხოხვით; შეიძლება მოძრაობდეს ცხენით ნაბიჯით ან ჩორთით; ველოსიპედით, ჰაეროპლანით და სხ.

აი ამ სხვადასხვა გარემოებაში მოუხდება მეომარს სროლა. ჩვენ ვიცით, რომ გაჩერებულ მიზანში სროლა ადვილია, აქ ანგარიშს გაუწევ მხოლოდ სროლის სიმარჯვის ხელშემშლელ პირობებს, რაც დამოკიდებულია მსროლელის, იარაღისა და ამინდზე. მაგრამ ეს არ კმარა იმ შემთხვევაში, როცა სროლას აწარმოებ მოძრავ მიზნებში. აქ უნდა მიუმატოთ კიდევ ის მიზეზი, რომელიც ხელს უშლის მარჯვე სროლას მიზნის მოძრაობის გამო.

მაგალითი:

მსროლელისგან 800-900 ნაბიჯის მანძილზე მოძრაობენ მტრის ერთი ქვეითი მსროლელი ნაბიჯით, მეორე სირბილით ცხენოსანი ნაბიჯით, ჩორთით და ჭენებით.

მსროლელმა, სროლის ყველა წესის დაცვით, ესროლა თვითეულ მათგანს კორათი 8. მეზობელ მსროლელმა დაინახა, რომ ტყვია დაეცა პირველის უკან (რომელიც ნაბიჯით მოდიოდა) ერთ ნახევარ ნაბიჯზე, მეორე უკან (რომელიც სირბ. მოდიოდა) ორ ნაბიჯზე. ცხენოსნის უკან (რომელიც ნაბიჯით მოდიოდა) ტყვია დაეცა ორ ნაბიჯზე, რომელიც ჩორთით მოდიოდა—4 ნაბიჯზე, ხოლო რომელიც ჭენებით მოდიოდა—10 ნაბიჯზე უკან.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ მსროლმა ვერ დააზიანა ვერცერთი მოპირდაპირის მეომარი. რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ სანამ ტყვიამ გაიარა 800—900 ნაბიჯი, მას მოუნდა ერთი წამი დრო. ამ ერთ წამში მტერმა უკვე მოასწრო და გაიარა: ქვეითმა მსროლელმა (ნაბიჯით) ერთ ნახევარი ნაბიჯი, ქვეითმა (სირბილით)—2 ნაბიჯი, ცხენოსანმა (ნაბიჯით)—2 ნაბიჯი, ჩორთით 4 ნაბიჯი და ჭენებით—10 ნაბიჯი.

რომ ჩვენ გვქონოდა მე ამავე მანძილზე ავტომობილთან, ტყვიები დაეცემოდა ავტომობილის უკან 5—30 ნაბიჯზე, იმისდამიხედვით, თუ რა სიჩქარით მოვიდა ავტომობილი. საქმე რომ ჰაეროპლანთან გვქონოდა, ტყვიები დაშორდებოდა უკან მას 30-დან 60 ნაბიჯამდე. აქედან ცხადია, რომ გარდა თოფის მსროლელისა და ამინდზე დამოკიდებულ მიზეზებისა, რომლებიც ხელს უშლიან სროლის სიმარჯვეს, მსროლელმა მშვიდობიან გარემოებაში სწავლების დროს უნდა ისწავლოს მოძრავ მიზნებში სროლა და სროლის დროს შეაფასოს, თუ რამდენად სწრაფად მოძრაობს ესა თუ ის მიზანი. ამასთან დაკავშირებით სროლის დროს მსროლელმა უნდა მისცეს ებრა, ე. ი. განსაზღვროს, თუ რამდენად წინ უნდა დაიჭიროს დამიზნების წერტილი, რომ მოპირდაპირე დააზიანოს. აქ შეიძლება შეგვხვდეს სამი შემთხვევა: ან მიზანი უახლოვდება მსროლელს, ან მიზანი შორდება, მოძრაობს მარჯვნივ, არ მარცხნივ. პირველ შემთხვევაში დამიზნების წერტილი უნდა იყოს მოპირდაპირის წინ შენზე ახლოს, მეორეში—უფრო შორს, მესამეში—უფრო მარჯვნივ ან მარცხნივ.

აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ტყვიის გადახრის სიდიდე იმდენად მეტი იქნება, რამდენადაც მოპირდაპირე შორსაა და რამდენად ის სწრაფად მოძრაობს.

მოძრავ მიზნებზე სროლის წესები რომ შევისწავლოთ, კარგად უნდა გავეცნოთ მე-5 ნომერ ცხრილს, რომელიც დართულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის დროებითი სასროლო წესდების მე-II ნაწილზე.

ი. ბ.

# 1904-5 წლები.

## პირად მოგონებიდან.

## ამხ. საშა წულუკიძის გასვენება.

სწორედ ასეთი რევოლიუციონურ ხანაში ვიმყოფებოდით იმ დროს, როდესაც რევოლიუციის მოწინავე მებრძოლთა რიგებს მოაკლდა საუკეთესო თეორეტიკოსი-რევოლიუციონერი ამხ. საშა წულუკიძე. ამხანაგი საშა შებყრობილი იყო ჭლექით, რომლის მსხვერპლიც შეიქნა ის. ულმობელმა სიკვდილმა არ მისცა საშვალება ამხ. საშას აქტიური მონაწილეობა მიეღო ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის მოწინავე რიგებში.

მაგრამ სამაგიეროთ მან დაუვიწყარი განძი დასტოვა მუშათა კლასისათვის, სახელმძღვანელო წიგნის—„პოლიტიკური ეკონომიის ნაწყვეტები"-ს სახით.

აღნიშნული წიგნი საუკეთესო სახელმძღვანელოთ იხმარებოდა წრეებში სამეცადინოთ და დიდი ნაყოფიც მოიტანა პოლიტიკური ეკონომიის საკითხების გაცნობაში.

ჩემის აზრით ზედმეტათ არ უნდა ჩაითვალოს მკითხველისათვის, რომ მოკლეთ შევეხოთ მის გასვენების ისტორიას, რომელსაც ჰქონდა დიდი დემონსტრატიული ხასიათი. ამხ. საშას გარდაცვალების ამბავი მოედვა მთელ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ამიერკავკასიაში. მას იცნობდენ ყველა რევოლიუციონური პარტიები, როგორც გამოჩენილ სოციალ დემოკრატ.-ბოლშევიკს, რომლის გარდაცვალებამ სათანადო გამოძახილი პოვა აღნიშნულ პარტიებში.

ამხ. საშას გასვენების დღეს მის საცხოვრებელ ბინასთან დილითვე დაიწყო ხალხის თავის მოყრა. მთელი უზარმაზარი ეზო ხალხს ვერ იტევს. ხალხის დიდი ნაწილი ქუჩაზედ არის გაშლილი. მოვიდა ცხედრის გამოსვენების დროც და მიცვალებული გამოიტანეს ეზოში და დაასვენეს. გასვენების პროცესიის მიტინგზედ გამოდიან ორატორები და აღნიშნავენ ამხ. საშას რევოლიუციონურ მოღვაწეობას. აქვე წაკითხულ იქნა სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი მრავალი სამძიმრის დეპეშები. გასვენებაზე თითქმის ყველა რევოლიუციონური პარტიებიდან ესწრებოდენ განსაკუთრებული დელეგატები, რომლებიც გამოვიდენ სიტყვებით სხვა და სხვა ენებზედ. მაგრამ ყველა დელეგატების გამოსვლებს გადააჭარბა ამხ. ბუდუ მდივანის გამოგზავნილმა წერილმა, რომელიც მაშინ იმყოფებოდა ქუთაისის ციხეში და თანაც იმ დროს პოლიტიკურ ტუსაღებს შიმშილობა ქონდათ გამოცხადებული. ამხ. ბუდუს წერილის შინაარსის კითხვის დროს მთელ დამსწრე ხალხში შეიქნა ისეთი ნერვიული მდგომარეობა, რომ ყველა იქ დამსწრეთ ცრემლი არ მოშორებიათ თვალზედ.

გათავდა სიტყვები და ცხედარი წამოასვენეს, რომელსაც წინ მიუძღოდა წითელი ლენტებით მორთული გვირგვინები. პროცესია გაემართა ორპირის ქუჩით ხონისაკენ.

ს. ლომიძე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# როგორ იხმარება აირი ბრძოლაში.

## ქიმიური ნაღმტყორცნი.

აირმტყორცნის ხმარება ვერაა ყოველთვის სახერხული იმით, რომ მისგან შეიძლება ერთი გასროლა, შემდეგ კი კვლავ საჭიროა დრო, რომ კვლავ ჩაწყობილ იქნას. ამ დროს განმავლობაში მტერი ყოველმხრივ შეეცდება ხელი შეგვიშალოს. ამას გარდა აირმტყორცნი უმთავრესად გამოსადეგია სანგრებში ბრძოლის დროს, მანევრებიან ომის დროს კი ხმარობენ ქიმიურ ნაღმტყორცნს. ეს განსხვავდება აირმტყორცნისაგან იმით, რომ მათ არ ჰფლავენ მიწაში, არამედ მოაწყობენ ფოლადის მილს (ნაღმტყორცნს) დაცობილი ბოლოთი საყრდენობ ფირფიტზე და იჭერენ ლითონის ჩანგლით. ამ ჩანგლის საშუალებით ნაღმტყორცნს ასწევენ მაღლა და დაუშვებენ დაბლა იმისდამიხედვით, თუ რა მანძილზე გვინდა ნაღმის გასროლა. ნაღმტყორცნის სისწრაფე წუთში უდრის 10-დან 15 გასროლას. ნაღმი მიდის 1-დან 3 ვერსზე.

ამრიგად ნაღმტყორცნის მოწყობა შეიძლება ყოველ ადგილას და ერთ წუთში შეიძლება რამოდენიმეჯერ გასროლა.

ქიმიურ ნაღმის ტყორცნა შეიძლება მაშინ, როცა ქარი ჰქრის მოპირდაპირისკენ. ნაღმი გახეთქის შემდეგ წარმოშობს აირის ღრუბელს, რომელიც ვრცელდება 2-4 ვერსზე.

ნაღმის ტყორცნას, რომელშიაც დიდძალი შხამიანი ნივთიერებაა, ის უპირატესობა აქვს, რომ მოკლე დროში და მტრისთვის მოულოდნელად შეიძლება დიდძალი, შხამიანი ღრუბლის წარმოშობა. მტერი ვერ მოასწრებს აირმსპობის გაკეთებას, რომ მას უკვე გარს შემოეხვევა ღრუბელი. ამიტომაა საჭირო აირმსპობის სწრაფად ჩამოცმის ცოდნა. მსროლელმა აირმსპობი 10 წამის განმავლობაში უნდა ჩამოიცვას.

ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სამხკორები „წითელარმიელის“ იუბილეს შესახებ

## სალამი იუბილიარს!

სალამი ძვირფას იუბილიარს „წითელ არმიელს“!

1000 ნომერი! ათასჯერ წაუკითხავთ „წითელი არმიელი“ და უპოვიათ პასუხი წითელი არმიის აღმშენებლობის მრავალ საკითხში. „წითელი არმიელი“ მეგობარია წითელ არმიელის, მეთაურის, პოლიტმომუშავის და სამნეო მუშაკის. „წითელი არმიელი“ აღნიშნავს ყველა მიღწევას წითელი არმიის აღმშენებლობაში და დახმარებას გვიწევს ავიშოროთ ჩვენს მუშაობაში აუცილებელი დეფექტები.

გაუმარჯოს „წითელ არმიელს“ და მის თანამშრომლებს!

არმიის სამხედრო სამნეო მომარაგების

უფროსი შაკუნი.

## სალამი ჩვენი აღმზრდელის მე-1000 ნომერს.

არავისათვის ისე სასიხარულო არ არის გაზ. „წითელ არმიელის“ მეათასე ნომრის გამოსვლა, როგორც მისგან აღზრდილი წითელ-არმიელების—სამხკორებისათვის.

ჩვენ ხომ მან აღგვზარდა, გაგვათამამა და გვაზიარა უაღრეს სიამოვნების გრძნობას. ჩვენ მან დაგვრაზმა შემდეგში სოფლად მუშაობისათვის და ჩამორჩენილ კუთხეებში განათლების სხივის შესატანათ.

ჩვენ მხოლოდ „წითელ არმიელის“ საშუალებით შევძელით და შევსძლებთ იმ უდიდესი ამოცანის შესრულებას, სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულად მომზადების საქმეში, რომელიც წინ გვიძევს და ურომლისოდაც შეუძლებელია მშრომელთა სახელმწიფოს ნამდვილ შეგნებულ მოქალაქედ გახდომა.

გაუმარჯოს ჩვენი სულის ჩამდგმელის—გაზ. „წითელ არმიელის“ ამ დიად დღეს და მის შემდეგ მუშაობას სოფლიდან მოსულ ახალგაზრდობის მომზადების საქმეში.

წ. არმ. გ. ბარათაშვილი.

## ჩვენც უნდა შევივსოთ ათასამდე.

გაზ. „წითელ არმიელის“ მილიონიერება და მისი დაკავშირება თანდათან თავისებურ გავლენას ახდენს ჩვენს ნაწილებზე. თითეული მოლაშქრე ვალდებულად ხდის თავს მიიღოს მონაწილეობა გაზეთში და ჰყავდეს მუდმივი თუ არა პერიოდული მისი სამხკორი მაინც. ასეთი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენში საყვარელმა ორგანომ ჩვენ ში. ათასი ნომრის თავზე, ეს სწრაფვა და სურვილი კიდევ უფრო გაიზრდება და მალე იქნება დრო, როდესაც „წითელ არმიელს“ ეყოლება ჩვენს ნაწილებში ათასი მუდმივი სამხკორი.

გაუმარჯოს მის დღესასწაულს, გაუმარჯოს მის ჩვენი რიგების შემომქმედოებელ მუშაობას.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## გაზ. „წითელ არმიელმა“ ამიხილა თვალები.

მე 1923 წელში გამიწვიეს სამხედრო სამსახურში. წერა-კითხვის არა გამეგებოდა რა. პირველად ნაწილში ვეზიარე ამ ბედნიერებას. დავიწყე კედლის გაზეთში შენიშვნების მოთავსება, რომელიც თვეში ერთხელ თუ გამოვიდოდა იმ დროს ისიც დიდი მიღწევა იყო.

წერილებს ყოველთვის უჩვენებდი სამხკორთა ორგანიზატორს, რომელიც მაძლევდა შესაფერ დარიგებებს და წერილებსაც მისწორებდა. ჩქარა გაზ. „წითელ არმიელსაც“ შევეჩვიე, რომელმაც უფრო წამახალისა და თავის ითანამშრომლების რიცხვში მეც მომაქცია.

თუ მე წერა-კითხვის შესწავლით დავინტერესდი, ეს გაზ. „წითელ არმიელის“ მეოხებით, რადგან როდესაც მოგვივიდოდა ის ნაწილში და სხვები დაიწყებდნენ კითხვას, მე ფიცხ ვაძლევდი თავს, რადაც არ უნდა დამჯდომოდა შემესწავლა წერა-კითხვა. მიზანსაც მივაღწიე.

„წითელ არმიელის“ იუბილე ამიტომ მე უფრო მახარებს და არ შემიძლია აღფრთოვანებით არ მივესალმო ჩემი თვალების ამხელელს.

გაუმარჯოს მის მომავალ მუშაობას.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

## ჩვენი სალამი გაზ. „წითელ არმიელი“-ს მე-1000 ნომერს.

2-რე არტლეგ. სამხკორთა წრე მხურვალედ ესალმება გაზ. „წითელ არმიელს“ მისი მეათასე ნომრის გამოშვების გამო. თვისი ენერგიული მუშაობით გაზეთმა მიაღწია თავის მიზანს—იმით, რომ ქართული წითელი ლაშქრის თითეული მხედარი მას თავის გულის მესაიდუმლეთა და თანამგზავრად სთვლის. მან უდიდესი სიყვარული დაიმსახურა აგრეთვე გლეხთა მასებში და ხელს უწყობს მშრომელთა ფართო მასების გასამხედროების საქმეს.

ჩვენი სამხკორთა წრე იძლევა მხედრულ სიტყვას, რომ ის არ შეასუსტებს თავის საქმიანობას და ყოველმხრივად შეუწყობს ხელს მისი ფართოდ გავრცელების საქმეს.

სამხკორი გაბუნია.

## ჩვენი სიამაყე.

როგორი გულის ფანცქალით მოველოდი ჩემი პირველი კორესპონდენციის გამოჩენას გაზ. „წითელ არმიელის“ ფურცლებზე. სოფლიდან ახლად ჩამოსულისა და წითელი ყაზარმისაგან მიღებულ საკვირველ ჩემს შთაბეჭდილებებს ეს ბედნიერებაც დაემატა. მას შემდეგ ფრთები შემესხა. ხელი მივყავი წერას. ნაწილში წარმოებული საგანმანათლებლო მუშაობა და სამხკორთა წრეში შესვლა კიდევ უფრო მეტ მასალებს მაძლევდა ამისთვის.

ჩვენი სიამაყე გაზ. „წითელ არმიელის“ მეათასე ნომრით კიდევ უფრო დამტკიცდა, რომ ის ჩვენი სამხედრო ნაწილების ცხოვრებისა და მიღწევების სარკეა. 1000 ნომერი საუკეთესო ლახვარია ჩვენი მტრებისთვის. გაზეთ „წითელ არმიელმა“—ჩვენმა საყვარელმა ორგანომ შეუძლია იამაყოს ამ მოვლენით და მასთან ერთად ჩვენც.

გაუმარჯოს მას.

სამხკორი ოგანოვი.

## წინ, მრავალ ათასიანი ტირაჟისა და მეორე ათასიან ნომრისაკენ.

რამდენი ბრძოლა და შრომა დასჭირდა ჩვენს გაზეთს წითელ არმიელთა აღზრდის, მათი გათვითცნობიერების საქმეში. საჭირო იყო მენშევიკურ და ბურჟუაზიულ შეხედულებებს წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლა, ძველი ჩვეულებების წინააღმდეგ გალაშქრება და წითელ არმიელთა ზნეობრივად გასპეტაკება, კულტურულ-პოლიტიკურ და სამხედრო ცოდნისა და დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად. ყველა ამის შესრულებაში „წითელ არმიელს“ უამრავი სიძნელენი ელობებოდენ წინ, მაგრამ მან ეს ბრწყინვალედ შეასრულა. ამის თავდებია მისი 1000 ნომერი.

ეს დღე საუკეთესო გამარჯვებაა ჩვენთვის—მისი სამხკორებისათვის და ჩვენც ენერგიულად შევხარით მას.—წინ მრავალ ათასიან ტირაჟისა და მეორე ათასი ნომრისაკენ. ამ მუშაობაში ჩვენც შენთან ვიქნებით.

სამხკორი ა. დეისაძე.

## გავავრცელებთ გაზ. „წითელ არმიელს“.

ჩვენი დაუფასებელი გაზეთის—ჩვენი ინტერესების გამომხატველის მე-1.000 ნომრის თავზე, ჩვენ მისი სამხკორები კიდევ ერთხელ ვიძლევით ფიცს, რომ არ შევასუსტებთ მისი გლეხურ ფართო მასებში გავრცელების საქმესაც. ჩვენ კარგად გვესმის თუ რა მნიშვნელობა აქვს მას იმ უდიდესი საქმისათვის, რომელსაც ფართო მოსახლეობის გასამხედროება ეწოდება. მისი მეათასე ნომერი საუკეთესოდ ამტკიცებს მის გამძლეობას და აუცილებელ საჭიროებას. ჩვენ ვიქნებით მისი საუკეთესო მეგობრები სოფლადაც.

გაუმარჯოს მის დიდ საქმეს ქართული წითელი ლაშქრის აღზრდის საქმეში.

სამხკორი ისიდორე გოგიტიშვილი.

## გაზ. „წითელ არმიელი“ წითელარმიელის განუშორებელი მეგობარია.

ჩვენი გაზეთის მე-1000 ნომერი სწორედ იმ დროს გვეწვლინება, როდესაც გაზეთის ავტორიტეტი ძლიერ გაიზარდა არა მარტო ჩვენს სამხედრო ნაწილების რიგებში, არამედ ის საუკეთესო კავშირის გამბმელი შეიქნა ნაწილებსა და სოფლებს შორის. ის დაწვრილებით აწვდის ჩვენს მშრომელებს ჩვენი ცხოვრების შესახებ ცნობებს. ის ჩვენი განუშორებელი თანამგზავრია და დღეს, როცა ის ზეიმობს მეთასე ნომრის გამოცემას, ეს ჩვენი ზეიმიცაა. თითეული წითელარმიელი ოქტომბრის 8 წლის თავზე მის გვერდით სდგას და იქნება კიდეც.

ვუსურვებთ მრავალ ათასი ნომრების გამოშვებას ჩვენს საყვარელ ორგანოს.

სამხკორი დ. ვაჩეიშვილი.

## ჩვენი საქმიანობა.

### 6-ხე ლეგიონი.

2 იანვარს შესდგა ჩვენი ლეგიონის 2-რე კომუჯრედის გაერთიანებული ღია კრება. დაესწრენ უპარტიო წითელ არმიელებიც. მოსმენილ იქნა მოხსენება [მიმდინარე მომენტზე. მომხსენებელმა კაპიტალისტური სახელმწიფოების პარალელურად აღნიშნა საბჭოთა კავშირის განმტკიცება და თანდათანი გაძლიერება ეკონომიურ, საგარეო და სხვა ფრონტებზე. ამხანაგი ვრცლად შეჩერდა აგრეთვე ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობაზე, რომლითაც საბჭოთა-მუშურ-გლეხურმა სახელმწიფომ შეიძინა საუკეთესო მოკავშირე და მეგობარი ოსმალეთის ხალხის სახით.

დასასრულ კრებამ იმსჯელა პარტკორის საჭიროების გარშემო და აირჩია შესაფერი ამხანაგი.

პარტკორი ი. ბ.

# წვევამდელ მზადების წერტებზე.

## მისაბაძი მაგალითი.

### მაჩხაანის წერტი.

წ. წ. 26 დეკემბერს მოეწყო შაბათობა მე-6 ლეგიონის 5 ასეულის წვევამდელების აქტიური დახმარებით. აღნიშნულ ასეულმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მაჩხაანის გლეხობაში. შაბათობის დროს გაკეთებულ იქნა გზატკეცილი 50 საჟენის მანძილზე. გაკეთებამდე აღნიშნულ გზაზე იდგა ტბა, სადაც გამვლელ გამომვლელს არ შეეძლო თავისუფლად გავლა.

გზის უვარგისობის გამო ძლიერ წუხდა გლეხობა. ადგილობრივმა აღმასკომმა მოინდომა ტბის ამოშრობა და გზის შეკეთება, მაგრამ საამისო თანხა არ მოეპოებოდა და არც დაბეგვრა შეიძლებოდა გლეხობის გზის გასაკეთებლად.

ასეთ გაჭირვებისაგან იხსნა მაჩხაანის გლეხობა მე-5 ასეულმა. ტბა ამოვაშრეთ, გაუჭერით დიდი თხრილები და ამოშრობის შემდეგ ამოვავსეთ ქვებით. გლეხობა გაიძახოდა; გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, რომ თქვენი უფროსები აქ გამოამზავნა და თქვენ აქ გასწავლიან ჩვენდა სასარგებლოთ“. დიდი მადლობა გადაგვიხადა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც.

ჩვენ მე-5 ასეულის შემადგენლობა ვეცდებით უფროსების ხელმძღვანელობით, რომ მეტი სიპატია და ავტორიტეტი დავიმსახუროთ შემდეგშიაც, როგორც გლეხობაში ისე ადგილობრივ ხელისუფლების, რომ ასეთი მჭიდროთ კავშირი შევძლოთ ტერსისტემის განმტკიცება, რომელიც თავდებია ჩვენი საბოლოო გამარჯვების.

უსურვებ, სხვა წერტებსაც ასეთ აღმშენებლობით მუშაობას.

გაუმარჯოს ჩვენს მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ახკორი წ. ა. მეფარიშვილი

## მტკიცე კავშირი გვაქვს სოფლის გლეხობასა და მშრომელ ინტელიგენციასთან.

### მე-5 ლეგ. მარნის წერტი.

ჩვენი წერტი ამ ჟამად კარგათ არის მოწყობილი. თვით სამეცადინო შენობაც საუკეთესოთ არის მორთული; აქ გაკრულია რევოლიუციის სხვა და სხვა ბელადების სურათები, გვაქვს აგრეთვე სამხედრო ხასიათის სურათებიც. არის რუქებიც. წვევამდელები და სოფლის გლეხობა ძლიერ დაინტერესებული არიან ჩვენი მუშაობით. ხშირათ მოდიან ჩვენთან სოფლის გლეხები და სოფლის ინტელიგენტები ჩვენი შენობის დასათვალიერებლათ, სადაც მათ განსაკუთრებით აინტერესებთ სამხედრო ხასიათის სურათები. ყველა სურათებზე, როგორც ბელადების, ისე სამხედროზე წერტის უფროსი ამხ. გურეშიძე აძლევს სტუმრებს სათანადო ახსნა-განმარტებას.

შაბათ საღამოობით წერტის შენობაში ეწყობა სხვა და სხვა სამხედრო ხასიათის გასართობები, როგორიც არის სამხედრო ფანტი და სხვა, რომელზედაც წვევამდელთა გარდა სოფლის სხვა ახალგაზრდობაც ღებულობს მონაწილეობას.

ვ. ნოზაძე.

## მე-6 ლეგიონის წვევამდელთა საქმიანობიდან.

ლეგიონის თბილისში მყოფ წვევამდელთა 4 წერტზე მეცადინეობა დაიწყო 1 დეკემბრიდან. პირველ დღესვე აღრიცხვის შემდეგ დაარსებულ იქნა ა. ლ. კ. კ. კოლექტივები და არჩეულ იქმნა მისი ბიუროები.

კოლექტივის ბიუროებმა დღიდან არჩევისა აიღენ მტკიცე ხაზი თავიანთი მუშაობისა. ყველა წერტებზე ჩამოყალიბებულ იქნა რედკოლეგიები, ცნობათა ბიუროები, ლენკუთხის პრეზიდიუმები და სხვა. ყველა ზემოხსენებული ორგანოებმა აიღენ მტკიცე ხელმძღვანელობა, რის შედეგათ ჩვენ მივიღეთ ყველა წერტებზე ლენკუთხეების მოწყობა და კედლის გაზეთების ორი ნომრის გამოშვება, ლენკუთხეებში ხმა-მაღალი კითხვისა და კითხვა პასუხის საათების მოწყობა.

მთავარი ყურადღება მიექცა სამხედრო საქმის კარგათ შესწავლას. ყველა წვევამდელები დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგის კარგათ შესწავლას. დისციპლინის განმტკიცებისაკენ მთელი ყურადღება მიპყრობილი.

1-ლ და 4 წერტებმა რიგრიგობით გამართეს ლეგკლუბში საღამოები, წითელ არმიელთა მასასთან მჭიდროთ დაკავშირების მიზნით. წარმოდგენების წინ იმართებოდა საზეიმო სხდომები, სადაც კეთდებოდა მოხსენებები დაკავშირებისა და 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის შესახებ.

წერტების მიერ მოწყობილმა საღამოებმა წითელ არმიელების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს.

ლეგ-კლუბის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის 1-ლ და 4-ე წერტების ა. ლ. კ. კავშირის კოლექტივებს ბიუროებს, რომლებიც უშუალო ხელმძღვანელები იყვნენ ასეთი შინაარსიანი საღამოების მოწყობის. 2—და 3—წერტებო! მიბაძეთ 1 და 4 წერტებს, თქვენც გამოიჩინეთ თქვენი შემოქმედება, აიღეთ ინიციატივა და თქვენი მუშაობაც დაანახეთ ყველას.

ამ ჟამად ჩვენთან შექმნილია კომისია ოთხივე წერტების წარმომადგენელთაგან 12 იანვრისათვის გამოსამშვიდობებელ საღამოს ღირსეულათ ჩასატარებლად. იმედია კომისიის წევრები არ დაზოგავენ თავიანთ ენერგიას ასეთი საღამოს შინაარსიანათ ჩატარებისათვის.

სამხკორი ე—ლი.

# ვაჟკაცურ ზურგის გამოსამშვიდობებელ საღამოს.

თბილისის წვევამდელთა წერტები.

1904 წ. დაბადებულთა გაწვევამდე წინასწარი სამხედრო მზადება თავდება ა. წ. 15 იანვარს.

მშრომელი ახალგაზრდობა საკმაო ენერგიულად ეკიდება გაწვევამდე წინასწარ მზადების საქმეს. როგორც პოლიტ. ისე სამხედრო მეცადინეობას საკმაო სიცოცხლე და მუშაობა ეტყობოდა. 15 იანვარს მწვევამდელები ჯამს გაუკეთებენ თავიანთ თვენახევრის საქმიანობას.

განზრახული გვაქვს თვით მეცადინეობის გათავებასა და მწვევამდელების ჩვეულებრივ სამუშაოზე დაბრუნებას საზეიმო ხასიათი მივსცეთ.

ამ მიზნით 15 იანვარს მწვევამდელების I, II, III და მე-IV წერტების ძალებით წითელ მცირე თეატრში ვაწყობთ საზეიმო გამოსამშვიდობებელ საღამოს.

საღამო გაიხსნება საზეიმო სხდომა-მისასალმებელი სიტყვებით. შემდეგ დაიდგმება პიესები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, რაზედაც მოეწყობა აზიური ცეკვა. მოეწყობა ტრიო და იმღერებს ქართული ხორო.

გ. ხურ—ძე.

# ჩვენ ცენტრალურ კლუბში.

ეს მესამე თვეა, რაც ჩვენ ცენტრალურ კლუბში სანიტარულ განათლების დასი მსახიობ ვასო ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით მართავს წარმოდგენებს წითელარმიელთათვის.

პიესები მეტ წილად სანიტარულ-აღმზრდელობითი ხასიათისაა.

წითელარმიელნი ყოველთვის ხალისით დადიან წარმოდგენებზე და გულმოდგინეთ უსმენენ პიესებს.

პარასკევს 8 იანვარს დასმა დადგა პიესა 4 მოქმედებათ „მეძაობის მსხვერპლი". ამ პიესაში ნათლად არის დახატული თუ რა შედეგები მოსდევს მეძაობას. თვით პიესა პირველად დაიდგა სცენაზე. დაწერილია იგი ლამაზად. მონაწილეობას ღებულობდენ დამსახურებული მსახიობი ვ. გამყრელიძე, ბ-ნები ლოლუა, რონეთი, ძიგრაშვილი, კვალიაშვილი.

წითელარმიელნი ბლომად დაესწრნენ წარმოდგენას და ნასიამოვნებიც დარჩნენ მით.

საჭირო და სასურველი იქნება, რომ ჩვენმა ნაწილების დრამატიულმა წრეებმა ის პიესები, რომლებიც იდგმება ცენტრალურ კლუბში, შეიტანონ თავიანთ რეპერტუარში.

ი—ა.

# ახალი ამბები.

— ტრამვაის ყველა ხაზებზე. ტფილისში ამჟამად მუშაობს 121 რონოდა.

— ფუნიკულიორის შეკეთება. გაზაფხულიდან შეუდგებიან ფუნიკულიორის საფუძვლიან შეკეთებას.

ა. კ. სახელმწ. ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 60 ათასი მანეთის სას.-სამ. იარაღები.

— სახელო ტრესტი აგებს ახალ საჩირხ ქარხანას მცხეთაში. ქარხნისათვის უკვე გამოწერილია ახალი მანქანა.

— ტფილისის მაზრას მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვით მიეცემა აგრონომიული დახმარების საქმისათვის 60.129 მანეთი.

ტფ. აღმასკომის სამშენებლო სექციამ გასულ წელს შეაკეთა 219 საბჭოთა სახლი, რაზედაც დაიხარჯა 262.353 მანეთი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

გადატრიალება ასტრონომიაში. მსოფლიოს უდიდესი საიდუმლოება ამოცნობილია.

გეტინგენის (გერმანია) ასტრონომიული ობსერვატორია ტელეგრაფით იტყობინება უდიდესი აღმოჩენის შესახებ, რომელიც მოახდინა ობსერვატორიის დირექტორ გარტმანმა 15 დეკემბერს ღამით.

18 დეკემბერს გარტმანისაგან ღამით, ობსერვატორიამ მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ახალის პრობლემა გადაწყვეტილია. ვარსკვლავი იმსხვრევა შიგნიდან, ფეთქდება".

ეს სიტყვები ბევრისთვის ძლიერ გაუგებარია, მაგრამ მეცნიერ ასტრონომისათვის ის იძლევა ახალ საბუთს იმისათვის, რომ მან სრულიად სხვანაირად შეხედოს მსოფლიოს, ვიდრე აქამდე ჰქონდათ წარმოდგენილი.

რა არის ის ახალი რომლის შესახებაც იძლევა დეპეშას გარტმანი? ასტრონომიაში (ცის სხეულების მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება) სიტყვა ახალით, აღნიშნავენ იმ ვარსკვლავებს, რომლებიც სრულიად ახლად ჩნდებიან ცის თაღზე და აქამდე შეიჩნეული არ იყვნენ. ეს ვარსკვლავები ხან გამოჩენ. ბით გამოჩნდებიან—ენთებიან ცის თაღზე და აქვთ ძლიერ დიდი სინათლე.

რაში მდგომარეობს „ახალი" ვარსკვლავების საიდუმლოება? ასტრონომიამ აქამდე არ იცოდა ეს. ზოგიერთი ფიქრობდა თითქოს, მათი ცის თაღზე გამოჩენა იმით იყოს გამოწვეული, რომ მსოფლიოს სივრცეში ხდებოდეს ცის სხეულების ერთმანეთთან დაჯახება—რაც იწვევს დიდ გაელვებას და ჩვენი თვალი ღებულობდეს მას, როგორც ახლად გამოჩენილ ვარსკვლავს.

გარტმანმა შესძლო ისეთ აღმოჩენამდე მისვლა, რომელიც ძირ-ფესვიანად აბათილებს „ახალ" ვარსკვლავებზე ძველ შეხედულებას და სრულიად ახალ ახსნა იძლევა ამ მოვლენის შესახებ.

„ახალი ვარსკვლავები აენთებიან მაშინ—ამბობს გარტმანი—როდესაც გაციებული ვარსკვლავი განიცდის შინაგან ატომურ (ატომი სხეულის უუმცირესი, თვალით შეუმჩნეველი ნაწილია) აფეთქებას.

შინა ატომური ენერგია თავსუფლდება რაღაც მიზეზის გამო, შესაძლებელია რამოდენიმე ათეულ ატომებისაგან და აფეთქებს მთელ ვარსკვლავს, რომლის დროს ჩნდება ისეთი ტემპერატურა, რომ მთელ ვარსკვლავს აქცევს ორთქლად. აი მაგალითად მაშინ ხდება „ახალი" ვარსკვლავების გამოჩენა.

გარტმანის დაკვირვებამ პასუხი უნდა მოგვცეს აგრეთვე მეორე უდიდეს მნიშვნელობის საკითხზე: რა პირობებში და მიზეზები იწვევენ ვარსკვლავის შიგნით ატომების აფეთქებას.

თუ ეს გარემოებაც ახსნილია გარტმანის მიერ, მაშინ თეორეტიულად შეიძლება იმის გამორკვევა, თუ აქ ადამიანებს როგორ შეეძლებათ ატომის ენერგიის მოპოება პრაქტიკული საჭიროებისათვის —მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, რომელიმე ფიზიკოსმა ან ქიმიკოსმა გაუფრთხილებლობით—შეუგნებლად, ერთ რომელიმე ბერკეტზე ხელის დაჭერით, „უცაბედათ" ააფეთქოს მთელი ჩვენი დედამიწა.

# ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ბარათაშვილის გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელარმიელს" და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხ. 1 საარტილერიო ლეგიონიდან: დივიზიონის უფროს ამხ. თირაშვილს, სამნეო ნაწილის უფროს ამხ. ანდრონიკაშვილს, ბატარეის უროს რატიშვილს, 2-რე ბატარეის უფროს ფერაძეს, 3 მე ბატარეის უფროს ზნამენსკის.

4-ე ბატარეის უფროსი სულიკაშვილი.


გამოიწერეთ გაზეთი „წითელი არმიელი"


# უცხოეთის არმიებში

**ოსმალეთის არმია.**

ამ ჟამად ოსმალეთის არმია თავისი საომარი ღირსებით გაცილებით უფრო მაღლა სდგას ვინემ ეს იყო 1922 წ. საბერძნეთთან წარმოებული ომის დროს. მშვიდობიან დროს ოსმალეთის არმიის რაოდენობა აღწევს 200,000 კაცამდე; მობილიზაციის შემთხვევებში მისი რიცხობრივი შემადგენლობა მიდის 800,000 მდე. ამაში შედის სათადარიგო ნაწილებიც.

ეს არმია თითქმის გერმანული არმიის—ასლი, მისი განმეორებაა. ყოველგვარი იარაღები, ყუმბარები და სხვა საომარი კმაყოფას ოსმალეთის არმია ღებულობს გერმანიიდან.

ოსმალეთის კავალერია ცნობილია თავისი შესანიშნავი ღირსებებით. თითქმის ყველა ცხენები კავალერიაში წმინდა არაბული სისხლის და ჯიშის ცხენებია. ამას გარდა არმიისათვის შექენილი იქნა ამას წინად ცხენების დიდი რიცხვი ირლანდიაში (ინგლისის სახელმწიფოში შემავალი პატარა სახელმწიფოა). მიუხედავად ამისა არტილერია მაინც საგრძნობლად მოისუსტებს.

ოსმალეთი დიდ იმედებს ამყარებს თავის საჰაერო ფლოტზე, და ყოველგვარ ზომებს მიმართავს მის შესაფერ სიმაღლეზე დასაყენებლად. ყველა საჰაერო აპარატებს ოსმალეთი უკვეთს გერმანიაში.


ამხანაგო წითელ არმიელო!

გაავრცელე

გაავრცელე

„წითელ არმიელ" გაზ.

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ-"ს

რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.

3 თვით — 1 მ. 35 კ.

6 თვით — 2 მ. 50 კ.

12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.

3 თვით — 1 მ. 10 კ.

6 თვით — 2 მ.

12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადებლთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


# სამხედრის კუთხე

კედლის გაზეთები და სამხკორთა წრეები.

ჩვენი სადივიზიო გაზეთი ყოველთვის სისტემატიურად აშუქებს საერთო პოლიტიკურ და წითელი არმიელის მომზადებისა და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. ადგილებზე ამ მუშაობას აგრძელებენ კედლის გაზეთები, რომელთა მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში:

უპირველეს ყოვლისა საჭირო ჩამოყალიბებულ იქნას საქმიანი სარედკოლეგიო, განაწილებულ უნდა იქნას კოლეგიის წევრთა შორის მოვალეობანი, რომ ყველამ იცოდეს თავისი საქმე და გაზეთი კი იცემოდეს ნორმალურად, თავის დანიშნულ დროზე.

კედლის გაზეთის მუდმივ მუშაობისათვის მიზიდულ უნდა იქნან სამხკორები უფ.-პოლიტ. შემადგენლობიდან და წითელ არმიელთა ფართო მასიდან. მუშაობაში უნდა ჩააბან ნაწილში მოსული ყოფილი მუშურ-გლეხური ახკორები. მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომები, რომ გაზეთის გარშემო თავი მოიყაროს საკმაო რიცხვმა სამხკორებისამ.

კედლის გაზეთის შინაარსი აგებულ უნდა იქნას განსაკუთრებული გეგმით, სადაც გაშუქებულ უნდა იქნან შემდეგი ძირითადი საკითხები; სამხედრო-პოლიტიკური მზადების მომავალი ამოცანები, დისციპლინა, ყოფა-ცხოვრება, სამეურნეო მდგომარეობა და სხვა. მთელი მუშაობა მიმართულ უნდა იქნას იმისაკენ, რომ ამაღლდეს საკუთარი ნაწილის ომის უნარიანობა.

გაზეთის მთელი მასალა დამყარებულ უნდა იქნას ფაქტებზე, უნდა დაწერილ იქნას გარკვევით, სხარტად და სწორად, რომ ამით დაინტერესდეს მკითხველი—წითელი არმიელი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თავისი კედლის გაზეთი წაიკითხოს წითელ არმიელმა თავიდან ბოლომდე.

**სამხკორთა წრეები.**

სამხკორთა წრეების მუშაობა დაწყებულ უნდა იქნას კედლის გაზეთთან. ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან ის ამხანაგები, რომლებიც დღემდე არ სწერდენ გაზეთებში. არ უნდა დარჩეს ნაწილში არც ერთი პირი, რომ არ იცნობდეს თავის კედლისა და სადივიზიო გაზეთებს. მცოდნე ამხანაგები ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდენ სუსტად მცოდნე სამხკორებს, თუ როგორ უნდა სწერონ უკანასკნელებმა გაზეთში, რაზე უნდა სწერონ და დახმარება უნდა გაუწიონ ნაწილში მომუშავე პირებს მუშაობის ნაყოფიერად ჩატარების საქმეში.

სამხკორს წრეში უნდა ასწავლონ, თუ როგორ უნდა შეეხოს რომელიმე საკითხს დაუგვიანებლად, გადაუჭარბებლად და შინაარსიანად. უნდა შეისწავლოს სამხკორებს კორესპონდენციების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. თავისი მუშაობის დაფასება, როგორც საჭიროსი, სერიოზულის და საქმიანისა. კარგად უნდა განემარტოს სამხკორებს მათი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ.

ამასთანავე ერთად საჭირო იქნება, რომ წრეებში სწორად იქნას დაყენებული სამხკორთა და მათი მუშაობის აღრიცხვა, სადაც ხაზი უნდა გაესვას მუშაობის შეფასებას, მიღწევებს და ნაკლს. ამ მუშაობის დროს წრეები ერთი ნაწილისა ყოველთვის უნდა იცნობდეს მეორე ნაწილის სამხკორთა საქმიანობას და ერთმანეთს უნდა უზიარებდენ გამოცდილებას.

ასეთი ამოცანები სდგას ამ ჟამად კედლის გაზეთებსა და სამხკორთა წრეების წინაშე, რომლებიც შესრულებულ უნდა იქნან გადაუხდელად.

მი.